მარეკლის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14(100) 2015 წ. 16-31 ივლისი ფასი 50 თეთრი

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სოფელ ბადიაურში ფერმერთა მომსახურების ცენტრი გაიხსნა

21 ივლისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში, USAID/REAP-ის მიერ დაფინანსებული ფერმერთა ახალი მომსახურების-მექანიზაციის სერვის ცენტრი გაიხსნა. ცენტრის გახსნას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* დავით ივანიშვილი** ესწრებოდა. ლენტის გაჭრის ცერემონიალის შემდეგ მფლობელმა ფრიდონ დიღმელაშვილმა სტუმრებს შენობა დაათვალიერებინა. ბატონმა ფრიდონმა და USAID-ის წარმომადგენლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას მადლობა გადაუხადეს, მათი განცხადებით, რომ არა ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობა, ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

ფერმერთა მომსახურების-მექანიზაციის სერვის ცენტრების გახსნის მიზანია USAID-REAP-**ისა და** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტთან თანამშრომლობით ახალი სერვის ცენტრების დაარსება, რომლებიც მოემსახურებიან ადგილობრივ ფერმერებს და ხელს შეუწყობენ მათ მიერ მოყვანილი პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

USAID/REAP-ის მიერ გაწეული ინვესტიციით მოხდა ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა. ცენტრი მომხმარებელს აგრეთვე სთავაზობს მცენარეთა დაცვის და ვეტერინარულ საშუალებებს. შეიქმნა 4 სამუშაო ადგილი. ახალი ცენტრი რეგიონში მცხოვრებ 7 500 ფერმერს მოემსახურება.

შიდა საფეხბურთო შეჯიბრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახლგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, 20 ივლისს ქ. საგარეჯოს სტადიონზე დაიწყო ჩემპიონატი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს ბანკი, სახანძრო-სამაშველო სამსახური, ბანკი „კონსტანტა“, „კახეთის ენერგო დისტრიბუციის“ საგარეჯოს ფილიალი, შ.პ.ს. მექანიზატორი, ა.ი.პ „სპორტგაერთიანება“, შსს დაცვის პოლიციის საგარეჯოს განყოფილება, ბანკი „კრისტალი“ და ბანკი „კრედო“. ნახევარფინალური მატჩი გაიმართება 5 აგვისტოს, ხოლო ფინალში გადასულები ერთმანეთს 7 აგვისტოს შეხვდებიან.

გვანცა ჯავახიშვილი

ინფრასტრუქტურა-2015

„თვალთხევის“ მარცხენა სანაპირო ლამაზდება

თამარ მეფის ქუჩა მდინარე თვალთხევის მარცხენა სანაპირო ქუჩაა. ადრე, ე.წ. კომუნისტურ პერიოდში ქუჩა ორმხრივი მოძრაობის, მოასფალტებული, გამყოფი ზოლითა და ბორდიურებით იყო მოწყობილი. იყო, მაგრამ, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან არავითარი სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა, რის გამოც, ამ 40-45 წლის მანძილზე იმდენად მოიშალა და დაზიანდა, რომ არამცთუ მანქანა, არამედ ფეხით მოსიარულეებსაც ეჩოთირებოდათ ამ გზით სიარული. ერთი ქართული ანდაზაა – „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, რომელსაც მიმდინარე წელს სხვა საკითხებთან ერთად კურსი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზეც აქვს აღებული, იზრუნა დიდი მეფის სახელობის ქუჩის კეთილმოწყობაზე და მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები დააფინანსა, რაც ფულად გამოსახულებაში 353 ათასი ლარს შეადგენს.

ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე კარგა ხანია დაწყებულია. სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ჯილაინი“ (დირექტორი გიორგი კვანტალიანი). სამუშაოთა მიმდინარეობისას შევხვდით კომპანიის პროექტის მენეჯერს ალეკო ჯავახიშვილს, გომბორი-თელავის ავტობანის მშენებლობის მონაწილეს მას საკმაო გამოცდილება აქვს. როგორც მასთან საუბრიდან გაირკვა, კომპანია ქუჩის 500 გრძივ მეტრზე, თანამედროვე ევროსტანდარტების დონეზე მოაწყობს ასფალტის საფარს. როგორც თავდაპირველად, ქუჩა იქნება ორმხრივი მოძრაობის, მოეწყობა გამყოფი ზოლი, ბორდიურები. ნაწილობრივ განახლდება მარცხენა და მოეწყობა მარჯვენა სანიაღვრე არხი, რომლის შემდეგაც საგარეჯოელებს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი ქუჩა და დასასვენებელი ადგილი ექნებათ.

გივი დაბახიშვილი

საჯარო სკოლები სასექტემბრო სამზადისში

საინამ ფაარი დაირეკება

საგარეჯოს *მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პედაგოგებისათვის ზაფხულის არდადეგები, საჯარო სკოლების ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციისათვის კი ახალი სასწავლო წლისთვის მზადების პერიოდი დადგა. ძირითადად ზაფხულში გვარდება სასწავლო წლის მანძილზე დაგროვილი ინფრასტრუქტურული პრობლემები, საფუძველი ეყრება მოსწავლეთათვის შესაფერისი სასწავლო გარემოს შექმნის საქმეს. ამიტომ, ახლა თითქმის ყველა საჯარო სკოლაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებია დაწყებული, რომელთა ნაწილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ფინანსდება, ხოლო გარკვეული, მცირე მოცულობის სარემონტო სამუშაოებს კი სკოლები საკუთარი ძალებით ასრულებენ. კერძოდ, თუ სად და რა გაკეთდება მომავალი სასწავლო წლის დირსეულად დახვედრისათვის, ამის შესახებ გვესაუბრება საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი* <u>მანანა ცუცქირიძე</u>.

– იმ სამუშაოებიდან, რომლებიც წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს უტარდებათ, – აღნიშნა მან, – მინდა პირველ რიგში გამოვყო იორმუდანლოს საჯარო სკოლის მშენებარე კორპუსის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები. როგორც მოგეხსენებათ, მშენებელი ორგანიზაციის მიერ დაშვებული ხარვეზების გამო იგი შეჩერებული იყო, რის გამოც სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს ურთულეს პირობებში, სოფლის ძველი ამბულატორიის ხის შენობაში უტარდებოდათ მეცადინეობები, ახლა კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილია სათანადო სახსრები და სასწავლო წლის დაწყებამდე ამ სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს საშუალება ექნებათ სასწავლო წელი ახალ და კეთილმოწყობილ სასწავლო კორპუსში დაიწყონ. აღნიშნული სამუშაოები უკვე ერთი თვის დაწყებულია და იმედია, მშენებლები აღნიშნულ კორპუსს სასწავლო წლის დაწყებამდე ჩააყენებენ მწყობრში.

ამას გარდა, ჩვენი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ასევე დააფინანსა პატარძეულის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც ხის ძველი კარ-ფანჯარა შეიცვლება მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით, დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა, მოეწყობა სველი წერტილები.

საკუთარი სახსრებით ჩაატარებენ რემონტებს მუღანლოს, დუზაგრამის, უჯარმისა და ნაწილობრივ კოჭბანის საჯარო სკოლები. აქ წინასწარ განისაზღვრება შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტები, შედგება შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა, რაც შეუთანხმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სწორედ მის მიერ გამოცხადდება ტენდერი, რის შემდეგაც გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაციების მეშვეობით დაიწყება სარემონტო სამუშაოები.

ასევე, საკუთარი დაფინანსებით მცირე კოსმეტიკური სახის რემონტებს ჩაუტარებენ სასკოლო შენობებს მზისგულის, შიბლიანის, საგარეჯოს №1 და №2 საჯარო სკოლები. ერთი სიტყვით მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლაში გვარდება საკითხები, რომ ისინი სრულ მზადყოფნაში დახვდნენ ახალ სასწავლო წელს.

– ლამბალოს საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შესახებ რაღას გვეტყვით, რომლის მოსწავლეებს აგერ უკვე რამდენი წელია დაქირავებულ საქონლის სადგომებსა და პურის ძველ საცხობებში, გაუსაძლის პირობებში უწევთ მეცადინეობა?

– ამ მშენებლობაზე ამ ორიოდე კვირის წინ გახლდით და უნდა გითხრათ, რომ იგი მთლიანადაა დასრულებული და საქმე თითქმის რემონტამდეა მისული. როგორც სათანადო დოკუმენტებშია და მშენებელი თურქული კომპანიის წარმომადგენლები გვპირდებიან, სკოლა სრულ მზადყოფნაში იქნება ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ იმედსა და მოლოდინს არ გაუმტყუნებენ აქაურ მოსწავლე-ახალგაზრდებსა და პედაგოგებს.

– როგორ გადაწყდა ახალი სკოლისთვის სასმელი წყლის პრობლემა, საიდან ექნებათ მათ საჭირო სასმელი და სხვა წყალმომარაგება?

– სკოლის წყალუზრუნველყოფისათვის მშენებელმა კომპანიამ უკვე მიიღო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანხმობა სკოლის ცენტრალური წყალსადენიდან წყლის გაყვანის თაობაზე, რასაც საკუთარი ძალებით შეასრულებენ, რაც მთლიანად უზრუნველყოფს საქართველოში ამ უპრეცენდენტო სასკოლო დაწესებულების შეუფერხებელ და გამართულ მუშაობას.

საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსთან საუბრის შემდეგ, საშუალება გვქონდა სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ გავსაუბრებოდით პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორს ნინო ბურდიაშვილს. როგორც მასთან საუბრიდან გაირკვა, ამ სკოლის სამშენებლო-სარეაბილიოტაციო სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „თბილმშენი“. მათ მიერ სკოლის შენობის ორივე სართულზე უკვე დასრულებულია ხის კარ-ფანჯრების დემონტაჟი, 13 ივლისიდან კი შემოიტანეს მეტალო-პლასტმასის ნაკეთობები და დაიწყო მათი ჩასმა. იწყება ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები. სკოლაში უკვე შეყვანილია გაზი, მაგრამ არ ჰქონდათ საკუთარი წყალმომარაგება, რის პრობლემაც ამ დღეებში იქნა მოგვარებული. სკოლამ ნებართვა მიიღო წყლის ახლომდებარე ჭაბურღილიდან სასმელი წყლის ხაზის შეყვანის თაობაზე, რის შემდეგაც აქ ექნებათ როგორც სასმელი, ასევე ტექნიკური საჭიროებისათვის საკმარისი წყალი.

სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტი, ასევე, ითვალისწინებს სკოლის სველი წერტილების და სათანადო საკანალიზაციო სისტემის მოწყობას, რაც არსებული საპირფარეშოების რეაბილიტაციის საფუძველზე განხორციელდება. ყველა აღნიშნული სამუშაოები კი, სწავლის დაწყებამდე 10 დღით ადრე იქნება დასრულებული და აქაური მოსწავლეების სამსახურში ჩაყენებული.

გ. დაბახიშვილი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში კვლავ ბავშვების ხმაურია

აქ ერთობიან, ისვენებენ

მართალია აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების“ აღსაზრდელებს კარგა ხანია ზაფხულის არდადეგები დაეწყოთ, მაგრამ საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება კვლავ აგრძელებს მუშაობას იმ 31 აღსაზრდელისათვის, რომელთა მშობლები სხვადასხვა სამსახურებში მუშაობენ. ერთი სიტყვით, აქ ზაფხულის ერთი ჯგუფი კვლავ ფუნქციონირებს. აღმზრდელ-პედაგოგები ლია კოხტაშვილი და ლალი მარიხაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე თინა მამისაშვილი, მზარეული ნატო მარიხაშვილი აქ დილის 9 საათიდან პატარების მოლოდინში არიან. ისინი 3-დან 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელებს საღამოს 5 საათამდე ყველანაირ პირობას უქმნიან გართობა-დასვენებისათვის. სამჯერადი კვების, გართობის, შუადღის ძილის, ლამაზ-ლამაზი ზღაპრებისა და ლექსების, მოთხრობების გაცნობის საშუალება აქვთ პატარებს. ყოველ დილას ეზოში ხვდებიან მათ და შემეცნებითდიდაქტიკური თამაშებით, ნელ-ნელა ინაცვლებენ შენობაში, სადაც გრძელდება თამაშობები, გართობა. წელს ისინი აქ 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე იქნებიან. წინა წლებში ზაფხულის ჯგუფი აქ 20 აგვისტომდე ფუნქციონირებდა, ახლა კი შენობაში სარემონტო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით მოუწევთ ვადის შემოკლება. წელს 15 სექტემბერს პირველი კლასის კარებს შეხსნიან ნიკა ივანიაშვილი, თამაზ ლაფერიშვილი და ნიკა კანჯარაშვილი, ახლა კი მასწავლებლებს პატარებთან თამაშის დროს „ეხმარებიან“ აქტიურად. სამი წლის ლუკა ჭიაურელი, რამაზ ჭინჭარაძე, ზუკა ბაირამაშვილი, ნიკოლოზ რევაზიშვილი, ლუკა ფანოზიშვილი მეტ ყურადღებას სულაც არ ითხოვენ, ისინიც ისეთივე დამჯერი ბავშვები არიან, როგორც ოთხ და ხუთწლიანები. ლუკა ჭიაურელი ფოტოაპარატს გაურბის – ჯდება სკამზე და იქიდან თავისი თბილი თვალებით მიყურებს, ზუკა ბაირამაშვილი ჩემი ყურადღების მიპყრობას ცდილობს, ვხვდები – „შეეშალა“, – მე მისი ნაცნობი პედიატრი არ ვარ. ნიკოლოზ რევაზიშვილი კეთილი ღიმილით იწყებს ჩემთან საუბარს და თავს გადახდენილ შემთხვევებს დიდი კაცივით მიყვება. მალე ერთად დგებიან და სურათს იღებენ. შემდეგ კი ლია მასწავლებელთან ერთად წრეში დგებიან და „ქორი და კრუხი“ თამაშობენ.

მალე ისე ერთობიან, ვედარც კი მამჩნევენ, როდის გამოვდივარ ეზოდან, საიდანაც მათი ლამაზი სახეები და წკრიალა ხმები მომყვება.

საგარეჯოში სასმელი წყლის ქსელის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო

„სასმელი წყლის მომარაგება გაუმჯობესდება“

როგორც შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საგარეჯოს სერვის-ცენტრის“ დირექტორმა **ოთარ ჩალათაშვილმა** გვითხრა:

– ერთი თვეა დაიწყო საგარეჯოს წყალმომარაგების ქსელის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩვენს ქალაქში. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „თბილი სახლი“ პროექტის განსახორციელებელი ბიუჯეტი 7,5 მილიონ ლარს შეადგენს, თუმცა, შესაძლებელია, აღნიშნული თანხის მოცულობა კიდევ გაიზარდოს. სამუშაოს პირველი ეტაპი მოიცავდა ქალაქის თამარ მეფის ქუჩის ერთ მონაკვეთს – 500 გრძივ მეტრს, სადაც დღეს ეს სამუშაოები დამთავრებულია და ახლა მისი მოასფალტება და კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით მიმდინარეობს. მეორე ეტაპი კი კარგა ხანია დაიწყო და ერეკლე II-ის ქუჩაზე უკვე მიმდინარეობს ეს სამუშაოები, რომელიც ჩატარდება მთლიანად ერეკლე II-ის ქუჩისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის გადაკვეთამდე. შემდეგ კი მშენებელთა 4 ჯგუფი ე.წ. სათავიდან სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს. მანამდე სათავეში ჯერ რეზერვუარის, შემდეგ წყალშემკრები გალერეების შეკეთება-შერემონტება მოხდება. აღნიშნულ სარეაბილიტაციო სამუშაოებში დასაქმებული არიან საგარეჯოელებიც.

რაც შეეხება რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის ქვემოთ – მოსახლეობა იქ ძირითადად ჭაბურღილებიდან იღებს წყალს, ამდენად ჯერჯერობით უახლოეს მომავალში იქ სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილი არ არის, თუმცა, მომავალი წლიდან შეიძლება სასიკეთოდ შეიცვალოს მდგომარეობა და გამოინახოს თანხები აღნიშნული მონაკვეთის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების ახალი სისტემის მშენებლობისათვის.

რაც შეეხება მიმდინარე სამუშაოების შესრულებას, ეს უმოკლეს, შემჭიდროებულ ვადებში უნდა დამთავრდეს.

ექიმის საუბარი

ჩუტყვავილა მწვავე ვირუსული ინფექციაა, რომელიც მიმდინარეობს სუსტად გამოხატული ინტოქსიკაციით, ტემპერატურის ზომიერი მომატებით, კანსა და ლორწოვან გარსებზე თანამიმდევრული, ტიპური ლაქოვან-ბუშტუკოვანი გამონაყარით. ამ დაავადების შესახებ დაწვრილებით გვესაუბრება ***ინფექციონისტი, პროფესორი* თამარ ჯოხთაბერიძე:**

– ჩუტყვავილა როგორც თავისთავადი დაავადება პირველად XVI საუკუნეში აღწერეს იტალიელმა ექიმებმა, მაგრამ მას შემდეგაც დიდხანს მიაჩნდათ იგი ნატურალური ყვავილის ერთ-ერთ კლინიკურ ვარიანტად.

დაავადებას იწვევს ჩუტყვავილა-ზოსტერის ვირუსი. იგი ადამიანის ჰერპესვირუსია. მისი პირველადი ინფექცია ჩუტყვავილას სურათს იწვევს, ხოლო ვირუსის ლატენტური (ფარული) არსებობა ზურგის ტვინის უკანა რქების განგლიებში და მისი რეაქტივაცია - სარტყლისებური ლიქენის სურათს (ზოსტერინფექციას ქმნის).

– როგორ ხდება ვირუსით ადამიანის დასნებოვნება?

– ინფექციის წყაროა ჩუტყვავილათი ავადმყოფი. ინფექცია გადაეცემა ჰაერწვეთოვანი და კონტაქტური გზით. ახასიათებს მაღალი კონტაგიოზურობა. 90%-ში დაავადება გადააქვთ 10 წლამდე ასაკის ბავშვებს, ხოლო მოსახლეობის 96% პრაქტიკულად იმუნურია ამ ინფექციის მიმართ. 2-3 თვის ბავშვები დედისგან მიღებული პასიური იმუნიტეტის წყალობით ჩუტყვავილათი იშვიათად ავადდებიან. იმუნიტეტის არარსებობისას ნაყოფის ინფიცირება ხდება ტრანსპლაცენტური გზით. შესაძლოა ახალშობილის დაავადება ორსულობის უკანასკნელ პერიოდში დედის ავადმყოფობის გამო.

– როდის არის საშიში ავადმყოფი?

– ჩუტყვავილას ახასიათებს სეზონურობა, უფრო ხშირია იგი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ბავშვთა კოლექტივებში ხშირია ეპიდემიური აფეთქება. გადატანილი დაავადება ტოვებს მყარ იმუნიტეტს - განმეორებით დაავადება პრაქტიკულად არ ხდება. ალბათობა არსებობს, თუმცა არ აღემატება 2-3%-ს. ავადმყოფი როგორც ინფექციის წყარო, საშიშია გამოყრამდე 1-2 დღე-ღამის და გამოყრის შემდეგ 3-7 დღე-ღამის განმავლობაში. უკანასკნელი გამონაყრის ფუფხად ქცევიდან ავადმყოფი საშიში აღარ არის. ნატურალური ყვავილისგან განსხვავებით, ფუფხი არ შეიცავს ვირუსს.

– რას აზიანებს ორგანიზმში შეჭრილი ვირუსი?

– ვირუსი ორგანიზმში იჭრება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანიდან, სადაც მრავლდება და ლიმფური გზით გადადის კანსა და ლორწოვან გარსებში, შინაგან ორგანოებში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ვირუსი გამოირჩევა უპირველესად კანის, შემდგომ კი ნერვული სისტემის დაზიანებით. ძირითადი ცვლილებებია კანსა და ლორწოვანზე. გენერალიზებული ფორმების დროს ადგილი აქვს ორგანიზმის სისტემურ დაზიანებას. ვეზიკულური გამონაყარი ეროზიებისა და წყლულების სახით აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, სასუნთქ და საშარდე ორგანოებში, ცნს-ში. ჩუტყვავილას გენერალიზებული ფორმები იშვიათია და უმეტესად გვხვდება დარღვეული, სუსტი იმუნური სისტემის მქონე ბავშვებში.

– როგორი გამონაყარია დამახასიათებელი ჩუტყვავილასთვის?

– გამოყრამდე 1-2 დღე შეინიშნება უმნიშვნელო სისუსტე. თავდაპირველად ჩნდება ლაქა ან პაპულა (კანის ზედაპირიდან წამოწეული), რომელიც ძალიან მალე, რამდენიმე საათში, გადაიქცევა გამჭვირვალე, ოვალურ ან მრგვალ ბუშტუკად გაწითლებული კანის ფონზე. ბუშტუკების შიგთავსი პირველსავე დღეებში იმღვრევა, გამონაყარი ადვილად სკდება, სითხე იღვრება და წარმოიქმნება ფუფხი. ჩვეულებრივ, გამონაყარი უხვია. გამოყრა გრძელდება 3-4 დღე. თავდაპირველად გამონაყარი ჩნდება ტანზე, შემდეგ - სახეზე და თავის თმიან ნაწილში, კიდურების დისტალურ ნაწილებზე. ვეზიკულა ერთკამერიანია და ჩხვლეტის შემდეგ იჩუტება შიგთავსის დაღვრით. ვეზიკულები 1-3 დღეში ქრება და მათ ადგილას ჩნდება მუქი ფერის ბრტყელი ფუფხი, რომლის მოცილების შემდეგაც ნაწიბურები არ რჩება. მათ ადგილას 2-3 თვე რჩება მუქი პიგმენტაცია, რომელიც თანდათან ბაცდება. ლორწოვან გარსებზე: პირის ღრუში, კონიუნქტივაზე, ხორხში (ამ შემთხვევაში ვითარდება კრუპის სინდრომი), სასქესო ორგანოებზე - გამონაყარი მალე განიცდის მაცერაციას ზედაპირული ეროზიებისა და წყლულების გაჩენით, რომლებიც 5-7 დღის შემდეგ მთლიანად ეპითელიზდება. გამოყრას აქვს ბიძგისებური ხასიათი 1-2-დღიანი ინტერვალით. ამ დროს გამონაყარი პოლიმორფულია - ერთდროულად ლაქოვან-პაპულური, ვეზიკულური და ფუფხიანი. ყოველი ***ახალი გამოყრა მიმდინარეობს ტემპერატურული რეაქციით. გამოყრის პერიოდში ბავშვები უჩივიან საერთო სისუსტეს, მადის დაქვეითებას, ძილის დარღვევას, კანის ქავილსა და ინტოქსიკაციის სხვა გამოვლინებებს***. ქავილის დროს შესაძლოა ინფექციის შეტანა და გამოყრის ადგილას ანთებითი კერის წარმოქმნა თვით ფლეგმონამდე, ამიტომ ***პატარას უნდა დავეხმაროთ და შევუმსუბუქოთ მდგომარეობა, მოვუხსნათ ქავილის შეგრძნება.*** პერიფერიულ სისხლში (სისხლის საერთო ანალიზში) არსებითი ცვლილებები არ არის.

– როგორ მიმდინარეობს თანდაყოლილი ჩუტყვავილა?

– თანდაყოლილი ინფექცია თავს იჩენს სიცოცხლის მე-5-10 დღეს, მიმდინარეობს საშუალო ან მძიმე, არცთუ იშვიათად - გენერალიზებული ფორმით, შინაგანი ორგანოების დაზიანებითა და ლეტალური შედეგით. ვირუსით ორსულის პირველ ან ადრეულ მეორე ტრიმესტრში ინფიცირება ნაყოფში იწვევს ემბრიოპათიის სურათს კიდურების ატროფიითა და კანის დეფორმირებული ცვლილებებით (თანდაყოლილი ჩუტყვავილას სინდრომი, მშობიარობამდე 5 დღით ადრე ან მშობიარობის შემდეგ 2 დღეში). ამ დროს ლეტალობის მაჩვენებელი 50%-ია. თუ ქალი მშობიარობამდე 5-10 დღით ადრე დაინფიცირდა, ახალშობილს დაბადებისთანავე აღენიშნება ჩუტყვავილა, რომელიც მიმდინარეობს მსუბუქად, ლეტალური შემთხვევების გარეშე.

– რა თავისებურებით გამოირჩევა ჩუტყვავილა წლამდე ასაკის ბავშვებში?

– ახალშობილებსა და წლამდე ასაკის ბავშვებში ჩუტყვავილას თავისებურება გამოიხატება საერთო ინტოქსიკაციის მკვეთრი გამოვლინებით:

* პატარა ძლიერ მოდუნებულია და აღგზნებული;
* აღებინებს და არ აქვს მადა;
* არ იღებს საკვებს;
* გახშირებული აქვს ნაწლავთა მოქმედება;
* ტემპერატურა შეიძლება ჰქონდეს ნორმალური ან სუბფებრილური.

გამონაყარი ვითარდება უფრო გვიან, მე-2-5 დღეს. იგი უხვია, პოლიმორფული, ***გამოყრისას ტემპერატურა მაღალ რიცხვებამდე იწევს, პროგრესირებს ნეიროტოქსიკოზი კრუნჩხვებითა და მენინგოენცეფალიტის სურათით.*** გამონაყარი იღებს ჰემორაგიულ ხასიათს.

– რა გართულებები ახლავს ჩუტყვავილას?

– გართულება შეიძლება გამოიწვიოს მეორეულმა ინფექციამ და ჩამოყალიბდეს აბსცესი, ფლეგმონა, წითელი ქარი, ბრონქოპნევმონია. ტიპობრივი გართულებაა ვირუსული ენცეფალიტი და ცერებრული ატაქსია. ენცეფალიტი უმეტესად ვლინდება ფუფხის სტადიაში და არ უკავშირდება დაავადების სიმძიმეს. იგი უფრო იმუნური რეაქციებითაა განპირობებული. ენცეფალიტის სურათისთვის უფრო დამახასიათებელია ნათხემის დაზიანება - ატაქსიური სინდრომი. დაავადება მიმდინარეობს მსუბუქად და 48-72 საათში ხდება სიმპტომების თითქმის სრული ალაგება. სხვა გართულებებიდან მოსალოდნელია გიიენ-ბარეს სინდრომი, ართრიტი, მიოკარდიტი, პანკრეატიტი.

– როგორ სვამენ დიაგნოზს?

– დიაგნოზი ეყრდნობა კანსა და ლორწოვანზე ტიპური გამონაყარის არსებობას, მის პოლიმორფიზმსა და ევოლუციას.

– როგორ უნდა მოვუაროთ და ვუმკურნალოთ ჩუტყვავილათი დაავადებულს?

– მკურნალობის სპეციფიკური საშუალებები არ არსებობს, ტარდება ზოგადი სიმპტომური თერაპია. აუცილებელია ჰიგიენის წესების დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ მეორეული ინფექციის დართვის საშიშროება. საჭიროა ტანსაცმლისა და თეთრეულის ყოველდღიური გამოცვლა. ანტისეპტიკური ხსნარებით აბაზანის მიღება, პირის ღრუს დამუშავება - გამოვლება ყოველი ჭამის შემდეგ, ბუშტუკოვან სტადიაში გამონაყარის დამუშავება ბრილიანტის მწვანით და არანაირი მალამოთი! ქავილის დასაცხრობად ინიშნება სედაციური, ანტიჰისტამინური საშუალებები. მძიმე ინტოქსიკაციისას საჭიროა ინფუზოთერაპია სადეზინტოქსიკაციო ხსნარების საშუალებით. ჰორმონების გამოყენებისგან თავი უნდა შევიკავოთ, თუმცა ენცეფალიტის დროს ხმარობენ და გარკვეული ეფექტიც აქვს. ანტივირუსული პრეპარატები ინიშნება მძიმე შემთხვევების დროს. ეფექტურია აციკლოვირი, თუ პაციენტმა ის დაავადების პირველ 24 საათში მიიღო, თუმცა ყოველთვის საჭირო და ეფექტური არც ის არის.

– არსებობს თუ არა ვირუსისგან თავის დაცვის საშუალება?

– ვირუსული დაავადებებისგან თავის დაცვის საშუალებაა ვაქცინაცია - აცრა. აქტიური თავდაცვისთვის გამოიყენება ატენუირებული ცოცხალი ვაქცინა, რომელიც იწვევს ანტისხეულების წარმოქმნის კარგ ეფექტს და თავიდან გვაცილებს დაავადებას, თუ შეყვანილ იქნა ავადმყოფთან კონტაქტამდე ან კონტაქტიდან მოკლე ხნის შემდეგ. ვაქცინაცია ტარდება 12 თვიდან. მისი ეფექტურობა 95%-ს უდრის. იმუნიტეტი 8-20 წელიწადს გასტანს. დონორისგან მიღებული სპეციფიკური იმუნოგლობულინი მოქმედებს როგორც ჩუტყვავილას, ისე ზოსტერის წინააღმდეგ. იგი ეფექტურია, თუ მიღებულ იქნა კონტაქტიდან არა უგვიანეს 72 საათის განმავლობაში.

ჯანმრთელობა

ჩუტყვავილა

ზაფხულის სიცხეებს თან დაერთო ვირუსული დაავადება ჩუტყვავილა, რომელსაც მოზუცები „ბატონებსაც“ უწოდებენ. ჩვენს მუნიციპალიტეტში აღნიშნული დაავადება გარდა ბავშვებისა, ზრდასრულ ადამიანებსაც გარკვეული სირთულეებით შეხვდა

ცურვის მოყვარულთათვის

აუზების კარი კვლავ ღიაა



რამდენიმე წელია №105 სასპორტო კომპლექსური სკოლა ჩვენი და მეზობელი მუნიციპალიტეტების ცურვის მოყვარულთა საყვარელ ადგილად იქცა. დადგება თუ არა ზაფხული, აქ ცურვის შესასწავლად მრავლად მოდიან როგორც პატარები, ისე უბრალოდ, ცურვის მოყვარული მოზარდები, რომლებიც ზაფხულის ხვატსა და პაპანაქებას აქ აფარებენ თავს. ყველას ხომ არ აქვს ზღვაზე წასვლისა და დასვენების შესაძლებლობა?! აქ კი იაფად და ხელმისაწვდომ ფასებში შესაძლებელია როგორც სიცხისგან თავის დაღწევა, ისე სხეულის გაკაჟება-გაჯანსაღება. ამისთვის მათ განკარგულებაშია ორი – დიდი ღია და პატარა დახურული საცურაო აუზები. დიდი – დიდებისათვის, პატარა კი ცურვის შემსწავლელი პატარებისათვის.

როგორც ამ დღეებში ჩვენთან საუბარში ***სკოლის დირექტორმა* სოსო მარხვაშვილმა** აღნიშნა, როგორც ყოველთვის, სკოლა და მისი აუზები ახლაც სრული მზადყოფნით შეხვდნენ ზაფხულისა და ცურვის სეზონის დაწყებას. შეიღება და წესრიგში მოიყვანეს ორივე აუზი და მაისიდან პატარების აუზზე ცურვის შესასწავლად პირველი დამსვენებლებიც მიიღეს. დიდების აუზი კი ცოტა მოგვიანებით – 8 ივლისიდან შეუდგა ფუნქციონირებას.

პატარებს ცურვის ხელოვნებას ასწავლის მასწავლებელი დავით ჭყონია, რომელიც უკვე წლებია აქ მუშაობს. ასევე, „სტაჟიანი“ ინსტრუქტორია ვაჟა კევლიშვილი, რომელიც დიდების აუზზე მუშაობს. სულ 8 ივლისის მდგომარეობით ორივე აუზზე 150 მომხმარებელია, რომელთაგან უმეტესობას პატარები შეადგენენ. ეს კი ძალზე დაბალი ციფრია, თუნდაც შარშანდელ წელთან შედარებით, რატომღაც წელს აბონენტების რიცხვი თითქმის განახევრებულია.

– რა არის ამის მიზეზი? გასული წლის ზაფხულივით მეტი თუ არა, არანაკლები სიცხეებია, ეს ლარის კურსის და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ბრალია თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები მოქმედებენ ამაზე?

– არ ვიცი, ძირითადში ეს რისი ბრალია, მაგრამ მე ერთს ვიტყვი, რომ ჩვენი მხრიდან ამაში რაიმე მიზეზი არაა. აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ ჩვენთან მოსულებმა ნორმალურად იგრძნონ თავი. გვაქვს საკუთარი ჭაბურღილის წყალი, რომელიც თბილისის ანალოგიური აუზების წყალს თუ არა სჯობს, არაფრით არ ჩამოუვარდება. სრულ წესრიგშია გასახდელები, ისე, რომ ჩვენი მხრიდან რაიმე ხელისშემშლელი მიზეზი არ არსებობს და არც მომსახურების ფასები გაგვიზრდია – იგივე დარჩა, რაც შარშან იყო.

– კერძოდ, როგორია ეს ფასები?

– დიდ აუზზე ერთთვიანი აბონემენტი ჩვენთან ღირს 60 ლარი, ორკვირიანი – 30 ლარი, ერთკვირიანი – 20 ლარი. პატარებისთვის პატარა დახურულ აუზზე ერთთვიანი სასწავლო მეცადინეობა და დასვენება 30 ლარია, ორკვირიანი კი – 15 ლარი.

– ალბათ კარგი იქნებოდა თქვენი აუზების მუშაობის დღის გრაფიკიც გაგვეცნო ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის...

– სიამოვნებით. დიდი აუზი ყოველდღე 10 საათიდან იწყებს მუშაობას და სადამოს რვის ნახევრამდე ვემსახურებით აქ მომსვლელებს. რაც შეეხება პატარა აუზს, აქ პატარები ჯგუფებად არიან დაყოფილი. მათგან – პირველი ჯგუფი ორ საათზე იწყებს მეცადინეობას, სულ ბოლო ჯგუფი კი – 5 საათისთვის შედის აუზზე.

– საუბარში თქვენ აბონენტების სიმცირე ახსენეთ. თუ სინამდვილეს გავუსწორებთ თვალს, მათი სიჭარბე მაინცდამაინც არც სხვა წლებში შეინიშნებოდა. ხომ არ გიფიქრიათ იმაზე, რომ საჭიროა სხვა ახლებური მიდგომებისა და გზების გამონახვა, თუნდაც იგივე სპორტული კუთხით, რომ გაიზარდოს აქ მომსვლელთა რაოდენობა და საგარეჯოში პროფესიული მოცურაველების კადრები აღიზარდონ?

– ამაზე ადრე ბევრჯერ გვქონდა საუბარი და მოწადინება, მაგრამ ჩვენი მცირეოდენი ბაზა და ფინანსები არ იძლევა აქ წმინდა სპორტული საქმიანობის წამოწყების საშუალებას. ამასაც რომ როგორმე გავართვათ თავი, ძალიან ძვირია შესაბამისი სპეციალისტების დაქირავება და საგარეჯოში ჩამოყვანა. ისე, რომ ჯერ-ჯერობით ამაზე თავს ვიკავებთ. რაც შეეხება დანარჩენს, ჩვენი აუზების კარი მუდამ ღიაა ნებისმიერი დამსვენებლისათვის. მობრძანდნენ, იცურაონ, ისიამოვნონ, გაიკაჟონ სხეული და იზრუნონ ჯანმრთელობაზე.

ესაუბრა

გ. დაბახიშვილი

სკოლისგარეშე მუშაობა

სახალისო და შემეცნებითი

2015 წლის 4-5 იანვარს, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა საახალწლო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის (ხელმძღვანელი ირინე დრეიძე), მხატვრული კითხვის (ხელმძღვანელი ოლღა მეხაშიშვილი), ინგლისური ენის კლუბის (ხელმძღვანელი თამარ მათიაშვილი), ფოლკლორული ჯგუფის (ხელმძღვანელი გივი ჭიაურელი) ,ბავშვთა ვოკალური სტუდიის „მი-რე-ლა"-ს /ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი /, ბავშვთა ვოკალური სტუდიის /ხელმძღვანელები ირინა ბაირამაშვილი და თეა ხატიაშვილი/ მოსწავლეებმა. შენობის და დარბაზის გაფორმებაზე იზრუნეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა და პედაგოგმა ჯემალ მახარიკაშვილმა, კოსტიუმები და აქსესუარები მოამზადეს „გოგონათა კლუბის" მოსწავლეებმა და პედაგოგმა ირინა თულაშვილმა. ღონისძიებების პარალელურად მიმდინარეობდა საახალწლო გამოფენა „ ზამთრის ჰარმონია", რომელზედაც წარმოდგენილი იყო საგარეჯოს № 1, 3, 4, მანავის, დიდი ჩაილურის, თოხლიაურის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის მოსწავლეთა ნამუშევრები.

– 2015 წლის 23 იანვარს, წითელი ჯვრის საგარეჯოს ფილიალის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის მენეჯერთან მაია ალექსაშვილთან და ცენტრის მოხალისეებთან ერთად საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბმა" მოაწყო საქველმოქმედო აქცია „პატარების გასახარად!',და სტუმრად ეწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის რკინიგზის სადგურის დასახლების საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, რომელთაც ტკბილეული, სათამაშოები და ზამთრის სეზონის ტანსაცმელი მიუტანეს. ამას კი წინ უსწრებდა ტანსაცმლისა და ტკბილეულის შეგროვების პროცესი, რომელსაც ანხორციელებდა ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. აქციაში აქტიურად ჩაერთნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები: საგარეჯოს №1, 2, 3, 4, თოხლიაურის, გიორგიწმინდის, მანავის, ხაშმის, წყაროსთავის, უჯარმის საჯარო სკოლების წარმომადგენლები, ლიდერთა კლუბის წევრები, მათ დიდი სამუშაო გასწიეს. საგარეჯოს № 2 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგის ფიქრია კუჭუაშვილის აღსაზრდელებმა და მშობლებმა, საკმაოდ დიდი შემოწირულობა გააკეთეს პატარების გასახარად... განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლს რამაზ მათიაშვილს, რომელმაც თავისი უანგარო წვლილი შეიტანა ჩვენი პროექტის განხორციელებაში. ლიდერებმა და მოხალისეებმა პატარებთან ერთად მშვენიერი სახალისო შეხვედრა მოაწყვეს..

– 2015 წლის 24 იანვარს, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით ჩატარდა მოსწავლეთა 69-ე რაიონული სასწავლო-შემოქმედებითი მინი-სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს ოთხივე, პატარძეულის, მანავის, წყაროსთავის, დიდი ჩაილურის საჯარო სკოლების, პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის მოსწავლეებმა. კონფერენცია გახსნა რესურსცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ, კონფერენციის მონაწილეებს წარმატებები უსურვა ქართული ლიტერატურის სექციის ხელმძღვანელმა, საგარეჯოს № 4 საჯარო სკოლის პედაგოგმა ანა კევლიშვილმა. კონფერენციაზე მუშაობდა 17 საგნობრივი სექცია. წარმოდგენილ ნამუშევართაგან რეცენზირებული ნამუშევრები გაიგზავნა ქ. თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში,მოსწავლეთა 69-ე რესპუბლიკურ კონფერენციაზე განსახილველად. აქ კი ჩვენი რაიონის ბავშვებმა 9 – I ხარისხის, 30 – II ხარისხის დიპლომი, 14 სიგელი და 26 პედაგოგის მადლობის ფურცელი დაიმსახურეს.

– 2015 წლის 6 თებერვალს ჩავატარეთ მხატვრული კითხვის კონკურსის მორიგი ტური V-VIII კლასის მოსწავლეთათვის. მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1, 2, 4, პატარძეულის, უჯარმის, უდაბნოს, მანავის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები.

– 2015 წლის 6 თებერვალს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში „ლიდერთა კლუბის" წევრმა, საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლუკა სასწრაფოშვილმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „ნაადრევი ქორწინება და გენდერული თანასწორობა". ტრენინგს ესწრებოდნენ ლიდერთა კლუბების წარმომადგენლები და სხვა უფროსკლასელები საგარეჯოს 1, 2, 3, 4, თოხლიაურის, წყაროსთავის, გიორგიწმინდის, პატარძეულის, ხაშმის საჯარო სკოლებიდან.

– 2015 წლის 16 თებერვალს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერ გოგონებს" სტუმრობდა „სოფლად მცხოვრები ქალების SWW ასოციაციის " პრეზიდენტი ვალერიე სტივენსი ინგლისიდან. იგი შეხვდა მცირე-მეწარმე ქალბატონს პედაგოგს ციცინო ლიქოკელს, „ლიდერ გოგონებს" ესაუბრა ლიდერობისა და დასაქმების საკითხებზე,

– 2015 წლის 20 თებერვალს გაიმართა „ლიდერთა კლუბის" წევრების თამარ ჩერქეზიშვილის, ანანო და გიორგი ქურხულების პრეზენტაციები. თამარ ჩერქეზიშვილმა გააკეთა პრეზენტაცია თემაზე:„ ქუჩის ხელოვნება", მეტად საინტერესო და აქტუალური პრეზენტაცია თემაზე „ბენმოდიფიცირებული საკვები' გააკეთა ანანო ქურხულმა, ხოლო გიორგი ქურხულმა, ასევე, საინტერესო თემას -- „ადამიანი და მუსიკა" --მიუძღვნა თავისი პრეზენტაცია.

– 2015 წლის 28 თებერვალს გაიმართა ლიდერთა კლუბის მორიგი შეკრება. ლიდერებმა -- წყაროსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სულიკო კერატიშვილმა და თამარ გაგნიაშვილმა მეტად საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინეს თემაზე: „ბერმუდის სამკუთხედი", ხოლო ხაშმის საჯარო სკოლის მოსწავლემ ანანო ყირმელაშვილმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „როგორ დავამარცხოთ სიზარმაცე". შეხვედრაზე ახალგაზრდებმა ისაუბრეს სამომავლო გეგმებზეც...

– 2015 წლის 3 მარტს ჩატარდა „დედის დღისადმი" მიძღვნილი საზეიმო კონცერტი და საგაზაფხულო ნახატების გამოფენა „გაზაფხული შემოსულა ლენ!"... გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საგარეჯოს № 1, № 4, ხაშმის, ბოგდანოვკის, თოხლიაურის, მანავის, ყანდაურის, უდაბნოს საჯარო სკოლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეთა ნამუშევრები, კონცერტი ჩატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის, მხატვრული კითხვის კლუბის, ინგლისური ენის კლუბის, საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბის, ბავშვთა ფოლკლორული ჯგუფის და „გოგონათა კლუბის" მოსწავლეთა მონაწილეობით. კონცერტს უძღვებოდნენ საბავშვო თეატრის პატარა მსახიობები ნინი ოგანოვი და მაკა ზალიკანიანი. კონცერტს ესწრებოდნენ ჩვენი კლუბების მოსწავლეთა დედები და ბებიები, გამოფენაში მონაწილე ბავშვები და მათი პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგიური კოლექტივი...დასასრულს კონცერტისა და გამოფენის ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომი...

– 2015 წლის 27 მარტს თეატრის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამ დღეს უფროსკლასელთა მხატვრული კითხვის კონკურსი და მინი-სპექტაკლების ჩვენება მოეწყო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 4, მანავის, და უდაბნოს საჯარო სკოლების მოსწავლეები. საინტერესო მინი-მიუზიკლები წარმოადგინეს უდაბნოს საჯარო სკოლის უმცროსკლასელებმა..

– 2015 წლის 1 აპრილს გაიმართა „ლიდერ გოგონათა " კლუბის პირველი თაობის წარმომადგენლის ანანო ათაბეგაშვილის ტრენინგი თემაზე „ნაბიჯები წარმატებისაკენ"... ტრენინგს ესწრებოდნენ ლიდერები თოხლიაურის, უჯარმის და წყაროსთავის საჯარო სკოლებიდან..

– 2015 წლის 11 აპრილს პედაგოგები და „ლიდერთა კლუბი" დაესწრო სპექტაკლს „1945" – ქ. თბილისში, მოზარდმაყურებელთა თეატრში, რომელშიც მონაწილეობდა საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი

პაატა ქვლივიძე და მოეწყო სპექტაკლის განხილვა.

– 2015 წლის 14 აპრილს გაიმართა „დედა ენის" დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო და საადგომო გამოფენის გახსნა. გამოფენაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 2, 3, 4, ბოგდანოვკის, უდაბნოს, ნინოწმინდის, მანავის, თოხლიაურის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეები. გამოფენა გახსნეს საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის ხატვის პედაგოგმა ლალი მარხვაშვილმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლემ ნინო ბუზარიაშვილმა. „დედა ენის" დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მოსწავლეები (პედაგოგი ხაიალ გასანოვი). აღსანიშნავია, რომ ჩვენს ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მუღანლოს საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები (პედაგოგი მაია ოდიშვილი), უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეები (პედაგოგი სოფიო გიბიშვილი),

– 2015 წლის 14 აპრილს ქ. თბილისში, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გაიმართა საადგომო გამოფენის „აღდგომიდან -ამაღლებამდე",გახსნა, რომელშიც საგარეჯოს სკოლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. გამოფენის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

– 2015 წლის 17 აპრილს ჩატარდა საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის მოხალისეს ანიკა ვალკის ტრენინგი ლიდერთა კლუბთან თემაზე „ ადრეული ქორწინება"... ტრენინგს ესწრებოდნენ საგარეჯოს № 1, 2, 3, 4, წყაროსთავის, თოხლიაურის, მანავის, პატარა ჩაილურის, პატარძეულის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

– 2015 წლის 16 აპრილს ლიდერთა კლუბის ინიციატივით გაიმართა ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, 2, 3, 4, მანავის. პატარძეულის, წყაროსთავის, თოხლიაურის, ხაშმის, პატარა ჩაილურის საჯარო სკოლების ლიდერები. მათთან სტუმრად იმყოფებოდნენ ბავშვთა ვოკალური სტუდიის მომღერლები ირინა ბაირამაშვილის ხელმძღვანელობით.

– 2015 წლის 22 აპრილს „დედამიწის საერთაშორისო დღე" აღინიშნა. ხატვის კლუბისა და ლიდერთა კლუბის ინიციატივით ჩატარდა ხატვის დასწრებული ტური „ეს საოცარი დედამიწა!", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საგარეჯოს № 3, 4, პატარძეულის, მანავის, კაკაბეთის საჯარო სკოლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა. (60 ბავშვი), ლიდერთა კლუბის წარმომადგენლებმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებთან ერთად გაასუფთავეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სკვერი, დაბარეს და ყვავილები ჩათესეს, ამავე დღეს მოწვეული იქნა საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის პედაგოგი ლელა გუშარაშვილი, რომელიც უკვე წლებია თანამშრომლობს ჩვენთან და სახაფხულო ბანაკის ეკო-ბანაკს ხელმძღვანელობს. მან ბავშვებს მოუწყო პრეზენტაცია ბი-ბი-სი-ს ფილმისა „ცისფერი პლანეტა". ნახატების შექმნის შემდეგ ბავშვებმა და პედაგოგებმა სიამოვნებით უყურეს ფილმს. დღის ბოლოს შედგა მონაწილეთა დაჯილდოება დიპლომებითა და მადლობის ფურცლებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენს ღონისძიებაში აქტიურად იღებდა მონაწილეობას საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის მოსწავლე ტატო სულიკაშვილი, რომელმაც ჯერ ლიდერებთან ერთად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გარე კედლები მოხატა, ხოლო შემდეგ პლაკატური ტიპის ნახატიც შექმნა. ნახატები გამოიფინა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში.

– 2015 წლის 1 მაისს ლიდერი გოგონების ნინო ბორაშვილის და სალომე ჯაბადარის /ორივე გოგონა ნამყოფია „გლოუ"-ბანაკში/ შედგა საინფორმაციო შეხვედრა „გლოუ-ბანაკთან" დაკავშირებით. გოგონებმა აუხსნეს თანატოლებს, თუ რას წარმოადგენს „გლოუ-ბანაკი" და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მოხვდნენ ამ ბანაკში / ესაა ამერიკული ბანაკი გოგონებისათვის /

– 2015 წლის 7 მაისს საგარეჯოს ხანდაზმულთა სოციალურ ცენტრში (მენეჯერი მაია ალექსიშვილი) გაიმართა საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის" წევრის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლის ნელი თიბიაშვილის ნახატების გამოფენა. გამოფენას ესწრებოდნენ ლიდერთა კლუბის წევრები, მხატვარი ნინო ჯანგულაშვილი, საზოგადოების წარმომადგენლები.

– 2015 წლის 7 მაისს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა --ტრენინგი „საგზაო უსაფრთხოების წესებთან" დაკავშირებით. ტრენინგს ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგები, მოქალაქეები, ავტოსკოლების წარმომადგენლები და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა კლუბის წარმომადგენლები.

– 2015 წლის 8 მაისს ჩვენთან სტუმრობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, იორმუღანლოს საჯარო სკოლის მე-9-მე-10 კლასების მოსწავლეები პედაგოგებთან -ბალი ოსეფაშვილთან და გიორგი ვარდიაშვილთან ერთად, მათთან ერთად იმყოფებოდა სკოლის , დირექტორი კაზახ აბდულაევი . სტუმრებმა დაათვალიერეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამეცადინო ოთახები, შეხვედრების დარბაზი, სადაც გამოფენილია საგარეჯოს სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები თემაზე „ ეს საოცარი დედამიწა". დაათვალიერეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ღონისძიებების ამსახველი სტენდები,

– 2015 წლის 9 მაისს ევროპის დღე აღინიშნა. ღონისძიება მეტად მრავალფეროვანი გახლდათ: ა) გამოფენა „გზა ევროპისაკენ", ბ) კლასიკური მუსიკის საღამო, გ) პრეზენტაციები ევროპის ქვეყნების შესახებ, დ) მთარგმნელთა კონფერენციის მონაწილეთა დაჯილდოება, ე) ქართულ-ფრანგული ლიცეუმის მოსწავლეთა მინიატურები „გაცოცხლებული სურათები". ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს № 1, 2, 3, 4, წყაროსთავის, ხაშმის, გიორგიწმინდის, თოხლიაურის, პატარა ჩაილურის, ნინოწმინდის საჯარო სკოლების,პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის, სამუსიკო სკოლის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბებისა და ლიდერთა კლუბის მოსწავლეები და პედაგოგები. გამოფენაზე საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა თამარ ჩერქეზიშვილმა, ვალერი როჭიკაშვილმა და ნინო ბუზარიაშვილმა, საგარეჯოს № 4 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (პედაგოგი ქ-ნი ნელი ბასილაშვილი). ჩვენი სტუმარი გახლდათ საგარეჯოელი მხატვარი ქალბატონი ნინო ჯანგულაშვილი. ლიდერთა კლუბის წევრებმა მარიამ დურგლიშვილმა, თამარ ჩერქეზიშვილმა, ზურაბ

დასასრული მე-5 გვერდზე

მოძღვარი

30 წელი მართლმადიდებლობის სამსახურში



მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებას საქართველოში 2000 წლიანი ისტორია აქვს. მცხეთაში დაფლული მაცხოვრის კვართით იწყება იგი, რომელზედაც ამშამად სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარია აღმართული. მას შემდეგ ქართველი ერის ცხოვრება ქრისტესა და ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული. ათასობით და ათიათასობით აღამიანს მიუღია მოწამეობრივი აღსასრული – წმინდანთა დასს ამშვენებს მათი სახელები. გვყოლია გამორჩეულნიც, მათ შორის, რომელთა სახელები მსოფლიო ისტორიაშია შესული. გვქონია დიდების და დაცემის წლებიც, მაგრამ ისევ გავმართულვართ წელში და გავძლიერებულვართ რწმენაში. ერის ძლიერება რწმენაში იყო და ამ რწმენამ მოგვიყვანა დღემდე. ხალხში რწმენის განმტკიცებას კი ემსახურებოდა და ემსახურება საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია, რომელიც ბოლო ათწლეულებში ხალხის აბსოლუტური ნდობით სარგებლობს. ბოლო ათწლეულში თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა ეკლესიები, სადაც მიმდინარეობს წირვა-ლოცვა...

ჩვენს რაიონში თითქმის ყველა იცნობს *საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ* <u>*მირიანს (არდაზიშვილი)*</u>, რომელიც საგარეჯოს გარდა კიდევ რამდენიმე სოფლის ეკლესიაში აღავლენს წირვა-ლოცვას. ახლახანს მამა მირიანის მღვდლად კურთხევიდან 30 წელი შესრულდა, რაც მისმა მრევლმა გულწრფელად მიულოცა. ჩვენი თხოვნით მამა მირიანი თავისი განვლილი ცხოვრების წლებზე გვესაუბრა.

– მამა მირიან, პირველ რიგში გილოცავთ მღვდლად კურთხევიდან 30 წლის იუბილეს. იქნებ მოგვიყვეთ, როგორ გადაწყვიტეთ სასულიერო პირი გამხდარიყავით. მაშინდელი კომუნისტური რეჟიმი ამას ხომ ნამდვილად არ ახალისებდა...

– გმადლობთ მოლოცვისათვის. ბავშვობიდან მორწმუნე ვიყავი. აღდგომის დღესასწაულზე ბებიას დავყავდი ბოდბის ეკლესიაში და მაზიარებდა ხოლმე. ფეხითაც კი წავსულვართ იმხელა მანძილზე. შემდეგ სტიქაროსანიც გავხდი და როცა სკოლა დავამთავრე – 1981 წელს ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში.

– ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს ამ გადაწყვეტილებას?

– ჩემს არჩევანს მამაჩემი გაგებით შეხვდა და წინააღმდეგი არ ყოფილა. დედაჩემი უფრო განიცდიდა, არ უნდოდა მღვდელი გამოვსულიყავი – წვერით როგორ უნდა იყოო?! ისე კი, ჩემი წინაპრებიდან ბებიაჩემის ძმა ყოფილა მღვდელი, თუმცა მე იმას არ მოვსწრებივარ. ასე, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება უსაფუძვლო არ ყოფილა.

– შემდეგ იყო სემინარია...

– მაშინ სემინარიის რექტორი იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავით ჭკადუა. გავიარე სრული კურსი, დავამთავრე და მივიღე II ხარისხის დიპლომი (I ხარისხის დიპლომს ისინი იღებდნენ, ვინც აკადემიაში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. იყო III ხარისხის დიპლომიც). მეორე კურსზე ვიყავი, როცა ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი და დავქორწინდი. იგი მხატვარია, მაშინ თოიძის სახელობის სასწავლებელში სწავლობდა.

სემინარია 1984 წელს დავამთავრე და დიაკვნად მაკურთხეს. როდესაც პატრიარქმა მკითხა, სად მინდიდა მსახურება, მე კახეთი ავირჩიე. მაშინ, მოგეხსენებათ ამდენი ეპარქიები არ იყო. ლაგოდეხს, დედოფლისწყაროს, სიღნაღსა და გურჯაანს განაგებდა მიტროპოლიტი ათანასე ჩფაშვილი (დღეს ცოცხალი აღარ არის), ღმერთმა აცხონოს.

განმაწესეს დედოფლისწყაროში სამლოცველო სახლში. იქ რუსული სამლოცველო იყო და წირვა-ლოცვაც რუსულად წარმოებდა. 9 თვის შემდეგ უკვე მღვდლად მაკურთხეს. ეს მოხდა 1985 წლის 1 ივნისს. გარკვეული პერიოდი ბოდბეშიც ვმსახურებდი. შემდეგ, 1989 წლის ამბების შემდეგ, როცა ქვეყანაში სიტუაცია

<u>დასასრული მე-6 გვერდზე</u>

სკოლისგარეშე მუშაობა

სახალისო და შემეცნებითი

<u>**დასასრული**</u>

მესხიშვილმა, მარიამ ტიგინაშვილმა, ლიკა დარისპანაშვილმა და ეთერ ტეტიაშვილმა საინტერესო პრეზენტაციები მოუმზადეს ღონისძიების მონაწილეებს. კლასიკური ნაწარმოებები შეასრულეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის, მხატვრული კითხვისა და საბავშვო თეატრის კლუბის მოსწავლეემმა, რომლებიც ამავე დროს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებიც არიან, შეასრულეს საფორტეპიანო ნაწარმოებები. ღონისძიებას უძღვებოდა მარიამ დურგლიშვილი.

– მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბი და საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბი —ხელმძღვანელები ბადრი დრეიძე და ლია ქვლივიძე— აქტიურად ანხორციელებს ყოველთვიურ ინტელექტთამაშებს 2 ასაკობრივი ჯგუფისათვის – VI-VIII კლასების მოსწავლეთათვის და IX-XII კლასების მოსწავლეთათვის.

– 2015 წლის 25 მაისს გაიმართა 2014-2015 სასწავლო წლის ინტელექტთამაშების გამარჯვებულთა და მონაწილეთა დაჯილდოება. უფროსკლასელ ინტელექტგუნდებს შორის წლის გამარჯვებული გახდა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდი, მე-2 ადგილი დაიკავა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხაშმის საჯარო სკოლის გუნდმა, მე-3 ადგილი დაიკავა წყაროსთავის საჯარო სკოლის გუნდმა. მათ გადაეცათ შესაბამისი დიპლომები და მედლები. 1 ადგილზე გასული გუნდების წევრები დაჯილდოვდნენ მცირედი საჩუქრებით. უმცროსკლასელთა შორის 1 ადგილი გაიაწილეს საგარეჯოს № 4 და მზისგულის საჯარო სკოლების ინტელექტგუნდებმა, მე-2 ადგილი დაიკავა საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლის გუნდმა, ხოლო მე-3 ადგილი წილად ხვდა პატარძეულის საჯარო სკოლის გუნდს... ის გუნდები კი, რომლებიც წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი თამაშებში – დაჯილდოვდნენ სიგელებით... ამავე დღეს დაჯილდოვდნენ მხატვრული კითხვის კონკურსის მონაწილენი, რომელთაც უფროს და საშუალო ასაკში 1, მე-2 და მე-3 ადგილები დაიკავეს...

– 2015 წლის 1 ივნისს, საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისა და სახლის „ლიდერთა კლუბის" ინიციატივით, აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების", მუნიციპალიტეტის გამგეობის, მისი ახალგაზრდული სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სკოლების დირექციების მხარდაჭერით, გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებთან არსებულმა შემოქმედებითმა გაერთიანებებმა, სტუდიებმა, საგარეჯოს „შავფაროსნების" ჯგუფმა „შენი სპა" ხელმძღვანელი ლევან ოქროპირიძე, კულტურის ობიექტების გაერთიანების ქორეოგრაფიულმა სტუდია „იმედმა" პატარძეულის საჯარო სკოლასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა სტუდიამ „მარიტა", პატარა ჩაილურის საჯარო სკოლასთან არსებულმა სამეჯლისო ცეკვების სტუდიამ და ქართული ცეკვის ანსამბლმა, საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის „შიტ ვოიცე"-ს მომღერლებმა, მონაწილეობდა აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ფოლკლორის ჯგუფი, მხატვრული კითხვის კონკურსის მონაწილენი პატარძეულის, მანავის, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლებიდან, უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი, პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის მოსწავლეები, მხატვარი ბავშვები საგარეჯოს № 4 საჯარო სკოლიდან, მე-3 საჯარო სკოლის მხატვარი ბავშვები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეები, „ლიდერთა კლუბის" მოსწავლეები საგარეჯოს № 1, 2, 3, 4, წყაროსთავის, მანავის, თოხლიაურის, პატარძეულის, ხაშმის, გიორგიწმინდის საჯარო სკოლებიდან. კონცერტს ესწრებოდნენ უნარშეზღუდული პატარები... დასასრულს მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდული სამსახურის ინიციატივით მოეწყო აქცია --„ნაყინი ყველას" , მოხალისეებმა და „ლიდერთა კლუბის" წევრებმა ახალგაზრდულ სამსახურთან ერთად ყველა მონაწილეს და უბრალოდ იქ დამსწრე პატარებს ნაყინი დაურიგეს. კონცერტში მონაწილეობდნენ

ლიდერთა კლუბის წევრები თამარ ცხვარიაშვილი-- პატარძეულის საჯარო სკოლიდან, ვანო მათიაშვილი – მანავის საჯარო სკოლიდან, ანნა ქურხული --საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლიდან, მარიამ დურგლიშვილი --საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლიდან. საკონცერტო პროგრამას უძღვებოდნენ ასევე „ლიდერთა კლუბის" წევრები საღამე ჯაბადარი --საგარეჯოს № 2 საჯარო სკოლიდან და გიორგი ჭეშურაშვილი --მანავის საჯარო სკოლიდან.

– 2015 წლის 11-12 ივნისს „მშვიდობის კორპუსის" ახალი მოხალისე -- ქეთრინ ო ნილი ჩამობრძანდა. 12 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლებთან ერთად იგი ეწვია საგარეჯოს 4 საჯარო სკოლას, დაათვალიერა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, სასკოლო მუზეუმი, დაესწრო ქალბატონი ნანული ბილანიშვილის კლასის ღონისძიებას, დაათვალიერა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შეხვდა „ლიდერთა კლუბის" წარმომადგენლებს... მათ ისაუბრეს სამომავლო სამოქმედო გეგმებსა და პროექტებზე...

– 2015 წლის 20 ივნისს, „ლიდერთა კლუბი" და პედაგოგები იმყოფებოდნენ ქ. თბილისში ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში სპექტაკლზე „ჩვენ ვეძებთ დიდებას". საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მეთოდისტის ნანა მახარაძის ძალისხმევითა და მოზარდმაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მიწვევით საგარეჯოელმა ახალგაზრდებმა მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი სპექტაკლი ნახეს.

– 2015 წლის 23 ივნისიდან საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბი " და სტუდია „მი-რელა" „ერთად თბილისისათვის" --სტიქიით დაზარალდებულთა დასახმარებლად ანხორციელებდნენ საქველმოქმედო პროექტს, რომელსაც ქუჩის აქციებიც ახლდა. 23 ივნისს „ლიდერთა კლუბის" წევრები ანსამბლის გოგონებთან ერთად გავიდნენ საგარეჯოს ქუჩებში შემოწირულობების შესაგროვებლად.

თამარ ჯაბადარი,

აიპ „საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის" დირექტორი.

ᲒᲘᲚᲝᲪᲕᲐ



ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ დღეს ვულოცავთ ***აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მთავარ სპეციალისტს,*** 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, ევროპის სამგზის ჩემპიონს გუნდურ და პირად შეჯიბრში, სამგზის II და III პრიზიორს, სსრკ-ს ჩემპიონსა და ბრინჯაოს პრიზიორს, სსრკ-ს ორგზის ჩემპიონს სამბოში, 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, უამრავი გამარჯვებების მქონე, დღევანდელი ქართული ჭიდაობის, ძიუ-დოს, სამბოს, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დიდ გულშემატკივარს, ქომაგსა და გვერდში მდგომს, პატარძეულელ ოლიმპიელს **ᲒᲘᲕᲘ ᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ბ-ნო გივი, თქვენ თავის დროზე, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ასახელეთ საქართველო არა მარტო თქვენი სპორტული მონაცემებით, იმ კაცურ-კაცობით და ადამიანობითაც, რომლითაც თქვენ საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებს აცნობდით საქართველოსა და ჩვენს ტრადიციებს. თქვენ დღესაც ასე აგრძელებთ ცხოვრებას და თქვენს მიერ გაკვალულ ამ ლამაზ გზას ამაყად და დიდი სიყვარულით თქვენთან ერთად თქვენი ლამაზი ქალიშვილები და შვილიშვილებიც მოუყვებიან. ღმერთმა დაგლოცოთ. კვლავაც დიდხანს, დიდხანს გვეგულებოდეთ გარეჯელი და არა მარტო გარეჯელ სპორტსმენთა გვერდში მდგომად და ხელისშემშველებლად.

გვიყვარხართ და გვეამაყებით!

თანამშრომლები

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ დღეს ვულოცავთ ***აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ დირექტორს,*** ქართული ტრადიციების თაყვანისმცემელს, სპორტის დიდ ქომაგსა გვერდში მდგომს – **ᲒᲘᲐ ᲑᲔᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ვუსურვებთ ყოველივე კარგს, სიხარულს და პირად ბედნიერებას.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ თანამშრომლები



ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ დღეს ვულოცავთ საგარეჯოს კოლორიტს, მუდამ ენერგიულს, კაცთმოყვარეს, ქართული, ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ქარისტიანული ტრადიციებისა და ადათების მიმდევარს, საქართველოს ისტორიის პატივისმცემელსა და ქომაგს – **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ (ᲒᲝᲠᲮᲐᲜᲐᲡ ᲑᲘᲭᲘ) ᲑᲣᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად...

ნათესავები

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ Ბ-ᲜᲘ ᲐᲕᲗᲝ ᲤᲐᲜᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ „ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲛᲞᲚᲣᲐᲨᲘ

ᲗᲕᲔᲖᲔ მეტი ხნის განმავლობაში ვთხოვდი საგარეჯოს სხვადასხვა ხელოსანს სატელიტური კოლოფის დამონტაჟებას, მაგრამ იყო ცივი უარი – მხოლოდ თეფშებს ვაყენებთ, ეგ არ შეგვიძლიაო – სირცხვილი მათ!

შეწუხებულმა მივმართე ქალაქის მაშინდელი მერის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ბ-ნ ზურაბ ზირაქაშვილს. ორი დღის შემდეგ მოვიდნენ ბ-ნი ზურაბ ზირაქაშვილი და ძალიან ინტელიგენტური გარეგნობის თბილღიმილიანი მამაკაცი, რომელიც ვერ ვიცანი. აი, ხელოსანი მოგიყვანეო. დაამონტაჟეს. ასეთ ხელოსანში ეჭვი შემეპარა და გასარკვევად ზურაბ ზირაქაშვილთან წავედი. ის არ დამხვდა. დამხვდა ბ-ნი „ხელოსანი“ მერის ამპლუაში.

ბ-ნ ზურაბ ზირაქაშვილს დიდი ხანია ვიცნობ, როგორც კარგ, მცოდნე სპეციალისტს, თავმდაბალს, გულისხმიერს, გაჭირვების გამზიარებელს.

დიახ, დღეს ასეთი ადამიანები სჭირდება ქვეყანას და ხალხს, ასეთი გულისხმიერი მერი და გამგებელი არა მარტო საგარეჯოს, არამედ მთელ საქართველოს. მადლობა თქვენ, კეთილო ადამიანებო!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ბ-ნო ავთანდილ ფანოზიშვილო და ბ-ნო ზურაბ ზირაქაშვილო.

პატივისცემით *ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ*
პენსიონერი

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ვუხდით ***საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და პირადად ბ-ნ რომან ზუკაკიშვილს,*** რომელმაც გამოიჩინა ყურადღება და ინტერესი და ყველა პირობა შეგვიქმნა იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგთა პროფესიული დონის ასამაღლებლად, ნოვაციების გასაცნობად და მუშაობის შემდგომი დახვეწის მიზნით ქ. თბილისში 12 ივლისს გამართულ ტრენინგზე აქტიური მონაწილეობა მიგვაღებინა მუნიციპალიტეტის პედაგოგებს. ამ ტრენინგმა ჩვენს პროფესიას ბევრი რამ ახალი შემატა. ჩვენი კოლეგებიც გაგვაცნო და ერთმანეთს ჩვენი გამოცდილებაც გავუზიარეთ.

ტრენინგზე წარგზავნილი პედაგოგების სახელით

თამარ ᲥᲣᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘᲫᲔ,
საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

1989 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ საგარეჯოში დავიდე ბინა. 15 წელია აქ მუდმივად ვცხოვრობ. დღემდე არავის მოჰგონებია, რომ სამამულო ომის ვეტერანი ვარ, თუმცა, იცოდნენ.

წლეულს ყველაფერი შეიცვალა, 9 მაისს მანქანით მომემსახურნენ, დამაჯილდოვეს, სადილი გაგვიმართეს, პატარძეულში გმირთა მემორიალთან კონცერტი გაგვიმართეს. ყოველივე ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ მუნიციპალიტეტის გამგებელს **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, ქალაქის მერს – **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲤᲐᲜᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, გამგეობის თანამშრომლებს: **ᲗᲘᲜᲘᲙᲝ ᲫᲐᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲣᲡᲘᲙᲝ ᲮᲐᲠᲫᲘᲐᲜᲘ** და სხვებს. მართლაც ძალიან კარგი, თავაზიანი, კულტურული, განათლებული ადამიანების კოლექტივია. მადლობა ასევე ანსამბლის ხელმძღვანელს, სუფრის თამადას.

ᲒᲘᲕᲘ ᲥᲐᲠᲐᲜᲐᲫᲔ,
კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი, პერსონალური პენსიონერი, სამამულო ომის ვეტერანი.

ᲓᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, სიკვდილი აღარ ზარავთო ადამიანებს და აღარც ღირსეულ მეტოქეობას უწევსო სიყვარულს.

რისი, ან ვისი ბრალია, ამის განსჯას მე ვერ მოვყვები. მაგრამ მე შემიძლია გიამბოთ ერთი იმათთაგანის შესახებ, რომელიც ერთი თვალით სიყვარულს დაატარებს, მეორე თვალით კი მამისა და ქმარ-შვილის ხსოვნას.

ლილი ზუკაკიშვილისთვის ზაფხული მძიმედ სატარებელი დრო, ივნისის თვემ აჩუქა კოტე, მთელი ცხოვრება ღირსეულად ატარებდა იმ პიროვნულ თვისებებს, რაც დედამ მისცა აღზრდის პროცესში. ივლისმა კი წაართვა დედას ის, ვისი არარსებობაც დედისათვის იმდენად წარმოუდგენელია, რომ ყოველ საათში შეუძლია მასზე საუბარი, ყველასთან, ვისაც კოტე იცნობდა, ყველასთან, ვინც კოტეს არ იცნობდა.

ქ-ნი ლილი ძუნწად არ საუბრობს შვილზე. მისი თხრობა მძიმეა, მაგრამ იმდენად სხვა ფერით ალმოხვეული, რომ შვილს იმ ქვეყნად ვერ წარმოგადგენინებს. ის აქ არის, შენს გვერდით, აი, აქვე ახლოს, აკა-ბუკების (აკაკისა და ზაქროს და ვანოს) მამა, შეიძლება ამ წუთში ნაყინს ყიდულობს, ან უცებ წვიმაში მოულოდნელად გაგიჩერებთ მანქანას და დაბრძანდითო, გეტყვით.

ლილი დეიდასთვის სიკვდილი მძიმე ტვირთიც არის და მე თუ მკითხავთ, რაღაც უცნაური შემთხვევაც, რომელმაც შეაჩერა მისი კოტესთვის განკუთვნილი ნაოჭები სახეზე, ვერცხლი – თმებში და ის იმ ლამაზ ახალგაზრდა კაცად დატოვა, რომელსაც დედა ასე ეძებლება. შინაგანად ის სხვა იყო და სამსახური სხვა ჰქონდა-ო, ამბობს დედა. და ამ საშინელ ავადმყოფობასაც მის სამსახურთან შეუთავსებლობას აბრალებს. ქ-ნი ლილი არ არის ის, ვინც ეგოისტურად შეხედავს ვინმეს, ის ასევე ტბილად იხსენებს კოტეს თანამეუღლეს, სამი შვილის დედას, საგარეჯოელებისათვის ნაცნობ და სამსახურებრივად დასამახსოვრებელს, ნოტარიუსს, ქ-ნ მაია ილაურს, რომელსაც ყველანაირი კანონის ცოდნა ხელეწიფება და მათში ყველაზე მეტად უმამო შვილებისთვის გზის მიცემის კანონზომიერება. ქ-ნი ლილისთვის უფრო მეტად ქალური, უფრო მეტად დედური, უფრო მეტად რძლური ქალი არ არსებობს, და მაინც ყველაზე მეტად ყველა – კოტესთან ერთად არსებობს. კოტესთან ერთად იწყება და მთავრდება იმ ეკლესიის გზაც, რომელსაც ქ-ნი ლილი ასეთი დაუღლელი რწმენით აკითხავს. წერილი, რომელსაც ის გულით დაატარებს და სადმე არ იგზავნება. ის გულის ჯიბით დააქვს დედას და არ შეიძლება მისი ფრაგმენტი რომ არ მოვიტანოთ:

„კოტე, შვილო, სადაც კი სწავლობდი – სკოლაში, ინსტიტუტში თუ უნივერსიტეტში, თუ სამხედრო სამსახურში იყავი, ყველგან ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდი. 16 წელი იმსახურე საგარეჯოს რაიონულ პოლიციაში, ყველა სახის „ომში“ იყავი. განებივრებული არასდროს ყოფილხარ. ყველა სახის ომი ნახე, გარდა აფხაზეთისა. თავი არსად და არაფერში შეგირცხვენია. შენს სინდისში, შენს პატარა სახელმწიფოს (მთელ მსოფლიოში ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი შენ სიყვარულს, რომ მის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს გაიღებდი მთელი შენი ოჯახის შემადგენლობით, ოღონდ საქართველო გადარჩენილიყო. ბედნიერი ხარ იმით, რომ თბილისში მომხდარი დიდი ტრაგედიის მოწმე არ გახდი, თორემ ალბათ მეორედ გარდაიცვლებოდი. ეს შენი დიდი ვაჟკაცობა მთელმა ჩვენმა საქართველომ ღირსეულად დააფასა ყველაფრით. შენმა თანამშრომლებმა 6 თვის მანძილზე თავი არ დაგანებეს არც დღე, არც ღამე, არც რაიონის ხელმძღვანელობამ – ძველებმა თუ ახლებმა – ყველამ გულთან მიიტანა შენი ყველა დადებითი, ყველამ დიდი პატივი გცა.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲡᲠᲝᲤᲝᲕᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ, ჩვენო ცხოვრებავ, ჩვენო სიყვარულო, ჩვენო ოცნებავ და ჩვენო ხვალინდელო დღევ. სად წაგიცდა ფეხი, შვილო, სად დატოვე შენი ლამაზი სიცოცხლე, რად დატოვე შენი საყვარელი ხალხი და შენი უბედური მშობლები?! ჩვენო ტკივილიანო მონატრებავ, ჩვენო დარდო და უჩუმარო ცრემლო. ძალიან გვენატრები. შენს დებს ძალიან აკლიხარ. შენს პატარა დისშვილებს გიორგისა და ლაშას შენისთანა ლამაზი და თბილი ბიძის მოფერება უნდათ. პატარა გიორგი სულ შენს სახელს ახსენებს – ქვასაც რომ ფეხი წამოჰკრას იძახის „გია ძიამ დამიტოვაო“ – გრძელდება თურმე სიცოცხლე, მაგრამ შენთვის რა მალე შეწყდა, შვილო.

თოთხმეტი 19 ივლისი, 14 ტკივილიანი წელი უშენოდ. ერთი დღე ვერ ვძლებთ უშენოდ, ახლა როგორ ვძლებთ ნეტავ?! ღმერთის ნება ყოფილა ყველაფერი.

მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს, ვილოცებთ შენი ტკბილი სულისთვის, შენ კი პატარავ, გაუხარელო, ილოცე შენი დანატოვარი ხალხისთვის.

ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, ᲓᲔᲓᲘ

ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავ-სათესი) მიწა – 8 ჰა.

ტელ: 242224; 593 949894.

სპორტი

ჭიდაობა

ქართული ჭიდაობა

ახმეტაში, ზვიად ზვიადაურის ტურნირზე

2 ივლისს ახმეტაში ჩატარდა ძიუდოში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ზვიად ზვიადაურის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, სადაც სხვა ფალავნებთან ერთად საგარეჯოელი მოჭიდავეებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათგან ტურნირის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ ცნობილი ქართველი ფალავნები: 73 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სიმონ მამარდაშვილი და 81 კგ წონით კატეგორიაში – კობა ჭედლიშვილი.

ჩემპიონის ტიტულამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა სამბოში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ირაკლი კუპატაძეს, რომელმაც ვერცხლის სინჯის მედალი მოიპოვა 60 კგ წონით კატეგორიაში. III საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 81 კგ წონით კატეგორიაში ოთარ კაციაშვილმა (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი).

გურიაში, საქართველოს ღია პირველობაზე

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ მამუკა მათიაშვილის აღსაზრდელებს ძალთა მორიგი გამოცდა 5 ივლისს გურიაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ღია პირველობაზე მოუხდათ. მათგან ტურნირის ჩემპიონობა იზეიმა 55 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ამირან დარბაისელმა. 73 კგ წონით კატეგორიაში II საპრიზო ადგილი დაიკავა ლაშა მათიაშვილმა, ხოლო ნიკა ბასილაშვილი III პრიზიორი გახდა 60 კგ წონით კატეგორიაში.

გუნდური I ადგილი და კახეთის თასი ძირკოკიდან

12 ივლისს კი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკში ჩატარდა კახეთის რეგიონული პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც არც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეები დაჰკლებიან. დაჰკლებიან კი არა და ერთი პირველი, ორი მეორე და სამი მესამე ადგილით ჩვენმა გუნდმა კახელებს შორის I ადგილი და ამისათვის დაწესებული თასი და უზარმაზარი ჭედილა დაისაკუთრა.

კერძოდ, ძირკოკის რეგიონულ პირველობაზე ჩემპიონი და ოქროს სინჯის მედლის მფლობელი გახდა 81 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენი ტიტულოვანი ძიუდოისტი კობა მჭედლიშვილი. II საპრიზო ადგილები დაიკავეს ირაკლი კუპატაძემ (60 კგ) და ვანო მამისაშვილმა (66კგ).

ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ სიმონ მამარდაშვილი (73კგ), ოთარ კაციაშვილი (81კგ) და ზაურ მამარდაშვილი.

თავისუფალი ჭიდაობა

3 პირველი და 1 მესამე ადგილი „შავი ზღვის თამაშებიდან“

13-15 ივლისს ბათუმში „შავი ზღვის თამაშების“ ფარგლებში ჩატარდა ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ქართველ ფალავნებთან ერთად მონაწილეობდნენ მეზობელი აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის ამ სტილის მოჭიდავეები. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფებში 1999-2001 და 2002-2004 წლიანთა შორის მიმდინარეობდა, რომელშიც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ აღზრდილი 12 ფალავანი იღებდა მონაწილეობას. 3 პირველი და ერთი III ადგილი – ასეთია „შავი ზღვის თამაშებზე“ მათი მონაგარი.

პირველი წარმატება და ჩემპიონის ტიტული საგარეჯოელთა გუნდს 35 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიგი ქურხულმა შესძინა. ამ ოქროს მედლისკენ მიმავალ გზაზე საკმაოდ დაძაბულ შეხვედრებში ჩვენმა პატარა ფალავანიც შეძლო ორი ქართველი და ოთხი სხვა ქვეყნების წარმომადგენლების დამარცხება. ნახევარფინალში მან დაამარცხა სომხეთის წარმომადგენელი, საფინალო შეხვედრაში ის აგებდა სომხეთის წარმომადგენელთან, მაგრამ ბოლო ოც წამში შეძლო ძალების მოკრება და მომგებიანი ორქულიანი ილეთით გამარჯვება და გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად საკმაო გარჯა დასჭირდა 53 კგ წონით კატეგორიაში მოსპარეზე დავით კუჭუაშვილს. მოგებული ხუთი შეხვედრიდან ნახევარფინალში მან აშკარად დაჯაბნა აზერბაიჯანელი მეტოქე, ფინალში კი ქულების აშკარა უპირატესობით მოუგო საქართველოს წარმომადგენელს და მეორე ოქროთი გაამდიდრა საგარეჯოელთა „ყულაბა“.

საგარეჯოელთა მესამე ოქრო – 69 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე დავით მარტაშვილზე მოდის. პირველ შეხვედრაში დასვენების შემდეგ იგი ასპარეზობაში ჩაერთო და ხუთი შეხვედრა დასჭირდა, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. ამ ადგილისათვის ბრძოლის მთავარი შეხვედრები მას ქართველ მოჭიდავეებთან მოუხდა. კერძოდ, მან ნახევარფინალში დაამარცხა ხაშურელი მოწინააღმდეგე, ფინალში გორელ მოჭიდავესთან შეხვედრაში კი ხელი მოიტეხა. მიუხედავად ამისა, მოტეხილი ხელით მაინც გააგრძელა ასპარეზობა და იგი გამარჯვებით დააგვირგვინა.

რაც შეეხება 42 კგ წონით კატეგორიაში III ადგილზე გასულ ფირუზ ქვლივიძეს, მას მოუხდა სომეხ მეტოქესთან ნახევარფინალური შეხვედრის დათმობა, მაგრამ ბოლომდე არ დაუყრია ფარ-ხმალი და III ადგილისათვის ბრძოლაში ამბროლაურელ მეტოქესთან გამარჯვებით ბრინჯაოს პრიზიორობა გაინაღდა.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, როგორც ჩვენთან საუბარში შეჯიბრებაზე გუნდის წარმომადგენელმა რამაზ ასაბაშვილმა განაცხადა, შეჯიბრებას უხარვეზოდ და გადახრების გარეშე არ ჩაუვლია, რის გამოც საგარეჯოელებს ქულები და ადგილები დააკლდათ. აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი ამ ასპარეზობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა რამაზ ასაბაშვილმა, დავით ბაბუნაძემ და კობა საგინაშვილმა.

ჭადრაკი

თასები და პრიზები „ბათუმის თასი-2015“-დან

აპ დღეს – 2-დან 12 ივლისის ჩათვლით ბათუმში მიმდინარეობდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმის მერიის თასი-2015“, რომელშიც ქართველ მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის, უკრაინის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების 8-10-12 წლის ნორჩი მოჭადრაკეები. ფესტივალში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭადრაკეები: ნიკა კევლიშვილი (12 წლიანებში, მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), 10 წლიანებში – ლევან დალბაშვილი (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) და 8 წლიანებში – ნინო ესაიაშვილი (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი).

როგორც ჩვენთან საუბარში საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის თანათავმჯდომარემ ირაკლი ქვლივიძემ განაცხადა, ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეები თავიდანვე – პირველი ტურიდანვე მონდომებით ჩაებნენ თასის გათამაშებაში და მთელი ფესტივალის მანძილზე ლიდერთა შორის იმყოფებოდნენ. ამის შედეგად ნიკა კევლიშვილმა 12 წლიანებში 9 შესაძლებლობიდან 7 ქულით სომხეთის წარმომადგენელი დავიდ არამიანთან ერთად დაიკავა I-II ადგილები, სადაც კოეფიციენტით გადაასწრო სომხეთის წარმომადგენელმა. III ადგილზე კი კვლავ სომხეთის წარმომადგენელი გარი გრიგორიანი გავიდა.

10 წლიანთა ტურნირში ასევე წარმატებით იასპარეზა ლევან დალბაშვილმა. მან 9 ტურიდან მოაგროვა 6,5 ქულა. ასეთივე შედეგი აჩვენა ფესტივალის კიდევ ერთმა მონაწილემ. აქაც, როგორც 12 წლიანებში, ყველაფერი გადაწყვიტა კოეფიციენტმა, რის შედეგადაც I ადგილი დაიკავა საქართველოს წარმომადგენელმა დავით სიბაშვილმა, II ადგილი ხვდა ჯაბა ადამიას, ლევანი კი – III ადგილზე აღმოჩნდა.

უნდა აღინიშნოს 7 წლის ნინო ესაიაშვილი დებიუტიც. იგი ამ რანგის შეჯიბრში პირველად, თანაც თავისზე 1 წლით უფროს ასაკში იღებდა მონაწილეობას და ასაკისა და გამოუცდელობის მიუხედავად შეძლო V-VI ადგილების გაყოფა. ამაზე ადრე 25-29 ივნისს, იგი მონაწილეობდა თბილისში გამართულ შოთა ინწკირველის მემორიალში 7 წლამდელებს შორის, სადაც 7-დან 6 ქულა დააგროვა და მხოლოდ კოეფიციენტით დაიკავა II ადგილი.

ფესტივალის საზეიმო დახურვისას სხვა გამარჯვებულებთან ერთად საგარეჯოელი მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასებით, დიპლომებით და ფულადი პრიზებით.

მუნიციპალიტეტის ჭადრაკის ფედერაციის თანათავმჯდომარე ირაკლი ქვლივიძე საუბარში კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ასეთ პრესტიჟულ ასპარეზობაში ნორჩი საგარეჯოელი მოჭადრაკეების წარმატებას და მათი სახელით დიდ მადლობას უხდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს ლაშა იაკობაშვილსა და არჩილ ჯაბადარს იმ დიდი ყურადღებისა და ფინანსური მხარდაჭერისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ნორჩი მოჭადრაკეების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში შედეგებზე აისახა.

ნინო წარმატებისთვის იბრძვის

25-29 ივნისს თბილისში ჩატარდა შოთა ინწკირველის სახელობის მემორიალი 7 წლამდელთა შორის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი). მან 7 შესაძლებლობიდან 6 ქულა დააგროვა და მხოლოდ კოეფიციენტის გამო გავიდა II ადგილზე. კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებთ ნინოს მომავალში.

ფეხბურთი

შეკრება ნაყოფიერი აღმოჩნდა

ამასწინათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ერთობლივი დაფინანსებით 10 დღიან შეკრებაზე ქობულეთში იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის 2003-2004, 2004-2005 და 2000 წლიან ფეხბურთელთა გუნდები. ეს შეკრება ნორჩი საგარეჯოელი ფეხბურთელებისათვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. მით უმეტეს, ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონატის დაწყების წინ, რომელიც ამა წლის სექტემბრიდან განახლდება. კერძოდ, 2003-2004 და 2004-2005 წლიანთა გუნდებმა (მწვრთნელები: რეზო ხებრელაშვილი, დათო მაისურაძე) ჩაატარეს 8 ამხანაგური შეხვედრა და რვავე მატჩი დიდი უპირატესობით მოიგეს. აქედან, 2003-2004 წლიანებმა 7:4-ზე დაამარცხეს თელაველი თანატოლები, ქობულეთის გუნდი – 6:2-ზე, ახმეტელებს სძლიეს – 8:2, ქუთაისის გუნდს – 5:2, თბილისის „მერანს“ – 4:1, თბილისის „ნორჩ დინამოელს“ – 3:1, ლაგოდეხის გუნდს – 4:2.

2004-2005 წლიანთა გუნდმა 6:2 სძლია თელაველ თანატოლებს.

რაც შეეხება 2000 წლიანთა გუნდს, მან ამხანაგური შეხვედრა 3:1 მოუგო ქობულეთის გუნდს, ხოლო „ნორჩ დინამოსთან“ შეხვედრა ფრედ 0:0-ზე დაასრულეს.

ნორჩი საგარეჯოელი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელები ***დიდ მადლობას*** უხდიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს**, და აიპ სპორტგაერთიანების“ დირექტორს **გია მაისურაძეს** ამ ნაყოფიერი შეკრების დაფინანსებისა და მხარდაჭერისათვის.

გვერდი მოამზადა
გივი დაბახიშვილმა

მოძღვარი

30 წელი მართლმადიდებლობის სამსახურში

დასასრული

აირია, დედოფლისწყაროდან მღვდელი – ეროვნებით ოსი – ჯიოევი, საქართველოდან წავიდა, მე ისევ იქ გადამიყვანეს. იქ ძირითადად რუსულენოვანი მრევლი იყო და წირვა-ლოცვასაც რუსულად ვატარებდი.

მანამდე – 1986 წელს პატრიარქის ბრძანებით ოქროს ჯვრით დამაჯილდოვეს. 1989 წელს მივიღე დეკანოზის ხარისხი, ხოლო 1996 წელს მიტრითა და დამშვენებულით დამაჯილდოვა ეროგული და დამსახურებული სამსახურისთვის პატრიარქმა.

შემდეგ, დაახლოებით წელიწადნახევარი ვმსახურებდი ლაგოდეხში, იქაც რუსულ სამლოცველოში, მერე გადმომიყვანეს გურჯაანში, ხოლო 1999 წლიდან, მეუფე ანდრიას ეპარქიის მმართველობის დროს, საგარეჯოში გადმოვედი და აგერ უკვე 15-16 წელია აქ ვარ.

– ღვთისმსახურება თქვენ კომუნისტური რეჟიმის დროს დაიწყეთ. მაშინ არც ამდენი ეკლესიები იყო და მღვდლებიც იდევნებოდნენ. თქვენ ხომ არ შეგხვედრიათ რაიმე წინააღმდეგობა?

– მართალია, რთული დრო იყო, მაგრამ მე რაიმე წნეხი არ გამივლია. ალბათ იმიტომ, რომ მე ადამიანებთან ადვილად ვახერხებდი ურთიერთობას. ჩემთან რაიკომის მდივანიც მეგობრობდა, აღმასკომის თავმჯდომარეც... თუმცა გაზეთებში დაგვცინოდნენ. ეს გაზეთი ახლაც შენახული მაქვს.

– გარდა საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრისა, თქვენ რაიონის სოფლებშიც აღავლენთ წირვა-ლოცვას...

– დიახ, თოხლიაურში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შევაკეთეთ და იქ ვწირავ თვეში ერთხელ. ბადიაურში ტაძარი არ იყო, გამგეობაში ერთი ოთახი გამოვათავისუფლებინე და იქ მოვაწყე სამლოცველო და იქ ვწირავდი. ამასობაში ერთი წლის განმავლობაში ტაძარიც აშენდა ხალხისა და მაშინდელი მთავრობის ხელშეწყობით. მერე აშენდა კარიბჭე, ახლა სამრეკლო შენდება. ყანდაურაში შევაკეთეთ ეკლესია და იქ ვწირავ თვეში ერთხელ, შიბლიანშიც ჩავდივარ და თვეში ერთხელ ვწირავ, უკვე 12 წელიწადია ორ კვირაში ერთხელ ვწირავ უდაბნოში, სვანებთან.

– რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საგარეჯოში გადმოხვედით?

– თავიდან ძალიან ცოტა მრევლი იყო. ერთი და იგივე ადამიანები, ძირითადად ქალები დადიოდნენ. 10-15 ადამიანი გროვდებოდა. შემდგომში უკვე ღვთის შეწევნით გაგვიცნო ხალხმა, ეპისკოპოსი მოდიოდა, სწირავდა და დრომ ყველაფერი მოიტანა, დღეს სულ სხვა სიტუაციაა.

– რა შეიცვალა მრევლის ქცევაში?

– საინტერესო შეკითხვაა. პირველ რიგში სასიხარულოა ის, რომ ახალგაზრდა თაობა, ახალგაზრდები მოდიან ტაძარში. ეს აისახება მათ ცხოვრებაზე. შესაძლოა მათ შიში და სიყვარული ერთნაირად არ გააჩნიათ, მაგრამ იცნობიერებენ და სიყვარული რომ უვითარდებათ, შიშიც უვითარდებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანში მოკრძალება ჩნდება, დადებითად აისახება მის პიროვნებაზე. იცის მცნებიდან გამომდინარე, რა არის კარგი და რა არის ცუდი, ახალგაზრდა უკვირდება თავის მომავალს, სწორ არჩევანს აკეთებს, როცა ღვთის წინაშე დგას. შემდგომში როცა იზრდებიან, ეს უკვალოდ არ ქრება და მათ ცხოვრებაში კეთილად წაადგებათ. ახალგაზრდები მოდიან და კურთხევას იღებენ. ახალგაზრდა რჩევას კითხულობს, ესა თუ ის საქმე გააკეთოს თუ არ გააკეთოს. რადგანაც კითხულობს, ესე იგი, მასში გონიერება და სიბრძნე უფრო მეტია, ვიდრე უყურადღებობა და სიცარიელე. და როდესაც კურთხევით ცხოვრობს ადამიანი, ეს ნიშნავს, რომ იქ მადლია, უფალია და უფალი ყოველთვის ხელს უმართავს ადამიანს კეთილი საქმისათვის.

ჩვენი მრევლი თითქმის მთელ რაიონს მოიცავს. იზრდებიან, მიდიან, მოდიან, ცხოვრებას აგრძელებენ სხვადასხვა ქვეყნებში თუ თავიანთ ოჯახებში და თავისთავად მრევლად რჩებიან.

რაც შეეხება დანარჩენ საზოგადოებას, დაინტერესებული არიან. მოგეხსენებათ, კომუნისტური პროპაგანდა თავისებურად

მოქმედებდა და მღვდლის ინსტიტუტი მაინცდამაინც დადებითად არ ისახებოდა. მაგრამ დაინახეს ადამიანებმა, რომ ეს ასე არ არის, პირადული მაგალითიც ვაჩვენეთ, ჩვენი ცხოვრებით. მადლობა უფალს, რომ მრევლთან ერთად, უფალთან ერთად მივაღწიეთ ერთმანეთის ნდობასა და სიყვარულს. ადამიანებმა ბევრმა ეკლესიაში გაიცნო ერთმანეთი დადებითად. ეს უკვე ისახება მათ ერთმანეთის მიმართ კეთილ განწყობაზე, რაც ბევრ რამეს ნიშნავს ადამიანის ცხოვრებაში.

მადლობა უფალს, დღეს კარგი განწყობაა ეკლესიის მიმართ. ეს იგრძნობა გარეთ, ქუჩაში, მოკრძალებით, პატივისცემით. და როცა სასულიერო პირის მიმართ მოკრძალება და პატივისცემა გააჩნია ადამიანს, ეს ნიშნავს, რომ ღვთის სიყვარული აქვს

– რას ურჩევდით ადამიანებს?

– კარგი იქნებოდა, რომ ადამიანებს ყოველთვის გვახსოვდეს ღმერთი. თვითონ ადამიანმა ადამიანში უნდა დაინახო ადამიანი და პატივი სცე, შენ თვითონ იყო ის კეთილი, მოსიყვარულე, პატივისმცემელი, კეთილშობილი, რომ იმ ადამიანისგანაც იგივე მიიღო. ადამიანი მხოლოდ სხვისგან პატივისცემას არ უნდა ჯერდებოდეს. ამიტომ საკუთარ თავთან მუშაობაა საჭირო. როცა საკუთარ თავში აღმოაჩენ, ვინა ხარ და რა უნდა აკეთო, რომ იგივე ღვთის ქმნილება ხარ. რაც შენ მოგცა ღმერთმა იგივე გადანაწილებული აქვს დანარჩენ ადამიანებზე...

ხატება და მსგავსება ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ ხშირად ხატებით ვიფარგლებით, ხოლო მსგავსება... ხშირ შემთხვევაში, – გასაჭირში, განსაცდელში – გვავიწყდება ღმერთი. ესეც იმის ნიშანია, რომ ადამიანს დრო სჭირდება, რწმენაში გაძლიერება სჭირდება. ღმერთი არავის არ მიატოვებს და ადამიანს უნდა ჰქონდეს იმედი ღვთისა, რათა კეთილად გამოიყენოს და გააკეთოს მაქსიმუმი იმისა, რის ნიჭი და გონებაც უბოძა ღმერთმა.

– 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მღვდლად გაკურთხეს. თქვენი გადასახადიდან, რა შეიცვალა ხალხში, მის ქცევებში, აზროვნებაში მას შემდეგ, ან თუ შეიცვალა საერთოდ. მაშინ ხომ სულ სხვა რეჟიმში და პირობებში ეცხოვრობდით და დღეს სულ სხვა სიტუაციაა...

– როდესაც მე მომიწია საზოგადოებაში გამოსვლა, მაშინ ადამიანები არ დადიოდნენ ეკლესიაში. რადგან ისინი არ მოდიოდნენ, მე მივდიოდი მათთან, ვუხსნიდი. სამწუხარო ის იყო, რომ ჩემი ახლობელი ახალგაზრდები როდესაც მიმყავდა წირვა-ლოცვაზე, ლიტურგიაზე აღდგომის დღესასწაულზე, მაშინვე უშიშროება ერეოდა, მიბარებდნენ და პასუხს მთხოვდნენ – „რად ვამახინჯებდი“ ახალგაზრდებს.

ადრე უკრძალავდნენ ადამიანებს ეკლესიაში მისვლას. ახლა ეს ასე აღარ არის. აღარ არის სარწმუნოება ხელმიუწვდომელი, ლიტერატურაც არის, სასულიერო პირი, ეკლესია თითქმის ყველა სოფელში არის. აქედან გამომდინარე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოში მორწმუნე საზოგადოებაა. ახალი საქართველო აღაშენა, ეკლესია განაახლა პარტიარქმა. უცხოელები რომ ჩამოდიან, გაკვირვებული არიან, ახალგაზრდების სიმრავლით ეკლესიაში. შესაძლოა ადამიანი ეკლესიაში მოდის, მაგრამ სახლში რომ მიდის თავის მტკივნეულ ჩვევებს ვერ გადაჩვეულა, მაგრამ ეს საგანგაშო არ არის. მთავარია ამან ფარისევლური სახე არ მიიღოს, არამედ მიხვდეს, რომ ღვთის წინაშე არაფერი დამალული არ არის. „რაც დამალული არს, გაცხადდეს“ – გვეუბნება პეტრე მოციქული. როცა ეკლესიაში მოდის ადამიანი, ეს აუცილებლად ნაყოფს გამოიღებს. მე ამის იმედი მაქვს.

ერი ერთსულოვანი უნდა იყოს. ერთსულოვნება მარტო ზოგიერთ საკითხში არ უნდა გვქონდეს. ერთსულოვნება არის იგივე პატრიოტობა, კარგი მამულიშვილობა და ქვეყნისადმი კეთილი ნების აღსრულება. თუ ერთსულოვნება არ ექნება ქვეყანას, ეს ცუდად აისახება მომავალ თაობაზე. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ამის საშუალება გვაქვს, გაჭირვების ჟამს მაინც ერთად ვართ და როცა განსაცდელი გვაქვს მივმართავთ არა საკუთარ თავს, არამედ ღმერთს. ღვთის წყალობა კი დიდია, კაცთმოყვარე ღმერთი ყოველთვის შემწეა. მთავარია, ეს მაინც ჩანს ადამიანებში, იციან ერთმანეთის თანადგომაც და ისიც, ვის უნდა მიმართონ – ეს არის ღმერთი.

– თქვენი ოჯახის შესახებაც იქნებ მოგვითხროთ...

– მეუღლე უკვე გითხარით, მხატვარია, ისიც სტუდენტი იყო, როდესაც გავიცანი, დავუახლოვდი, რატომდაც მომისმინა, გამიგო და დავქორწინდით. ყოველთვის გვერდში მედგა, სადაც ვმსახურებდი, იქ უწევდათ ცხოვრება. საზოგადოება ამას ხედავდა და მათი თანადგომა ჩემთვის აუცილებელი იყო. მყავს ორი შვილი და 5 შვილიშვილი. მყავს უფროსი და, მისი მეუღლე შემდგომში სასულიერო პირი გახდა,– მამა ექვთიმე, სიღნაღში მსახურობს, დეკანოზია.

– სიძე საგარეჯოელი გყავთ...

– ჰო, მერე უკვე, როცა შვილები დაიზარდნენ, პერიოდულად ჩამომყავდა საგარეჯოში სტუმრად, ქალიშვილს კარგი ოჯახი შეხვდა, მაშინ მომავალი სიძე სტიქაროსანი იყო. ახლა სამი შვილიც ჰყავთ, ვაჟს – ორი შვილი. დედაჩემი 82 წლისაა, მამა ადრე გარდამეცვალა – 1996 წელს.

დღეს თავს ვთვლი ბედნიერად. მადლობა უფალს ამისათვის. განსაცდელებიც მაქვს და მისი დაძლევის ძალაც. ხუთი შვილიშვილიც მომცა. საზრუნავიც ბევრი მაქვს და სიხარულიც ამასთან ერთად.

მე მადლიერი ვარ,– უნდა შეეძლოს ადამიანს სიკეთის დანახვა და მადლიერების გამოხატვა. მე ჩემი მრევლისა და მოქალაქეების წინაშე მადლიერი ვარ ჩემი კეთილსინდისიერი და ღირსეული მსახურებისთვის. ეს ხალხი ყოველთვის გვერდში მიდგას. ამას ვხედავ და ვგრძნობ, რასაც სიყვარულით გამოხატავენ. ერთადერთი, რითაც შემიძლია სიკეთე გადავუხადო, ეს ჩემი კეთილი და პატიოსანი მსახურებაა და ღმერთს ვთხოვ, ყველა გაახაროს, ღმერთმა ყველა დალოცოს. ეს ხალხი ნამდვილად იმსახურებს იმ დიდ უფლისმიერ სიყვარულს, რომელიც აუცილებლად გვჭირდება ყველა ადამიანს.

ესაუბრა ზურაბ აბულაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru